ი/მ „გურამ ბიძინაშვილი“

(სტატუსი – მიკრობიზნესი)

ქ. თბილისში, სამგორის მუნიციპალიტეტში, მოსკოვის გამზირი N9დ-ში დავით ჯაფარიძის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე (ს.კ. 01.17.12.003/168) მრავალსართულიანი და მრავალფუნქციური (ორი მიწისქვეშა ავტოსადგომით) საცხოვრებელი სახლის პროექტი

ტერიტორიის საინჟინრო–გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში

ქ. თბილისი

2022 წ

ი/მ „გურამ ბიძინაშვილი“

(სტატუსი – მიკრობიზნესი)

ქ. თბილისში, სამგორის მუნიციპალიტეტში, მოსკოვის გამზირი N9დ-ში დავით ჯაფარიძის საკუთრებაში არსებული ნაკვეთის (ს.კ. 01.17.12.003/168) საინჟინრო–გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში მრავალბინიანი და მრავალფუნქციური (ორი მიწიქვეშა ავტოსადგომით) საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით

ინჟინერ–გეოლოგი: გ. ბიძინაშვილი

ქ. თბილისი

2022 წ

სარჩევი

№	მასალების დასახელება	გვერდებისა და ნახაზების №
	I ტექსტური ნაწილი	
1	ტექნიკური დავალება	4
2	მიწერილობა	5-6
3	საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში	7-15
	II ტექსტური ნაწილის დანართი	
4	თიხების ლაბორატორიული კვლევის კრებსითი ცხრილი	+1
5	გრუნტების კომპრესიული გამოცდის შედეგები - 6 გამოცდა (გრ.N1-6)	+3
6	გრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები - 6 გამოცდა (გრ. 7-13)	+3
7	გრუნტის წინაღობის მაჩვენებლის ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების სტატისტიკური ანგარიში	+5
8	ქვიშაქვების ლაბორატორიული კვლევის შედეგები	+5
9	გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზი	+3
	III გრაფიკული მასალა	
10	უბნის 1:500 მასშტაბის ტოპო გეგმა ჭაბურღილების გეგმიურ-სიმაღლითი მიბმით	ფურცელი 1
11	საპროექტო ნაგებობის გენ.გეგმა	ფურცელი 2
12	ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტები	ფურცელი 3
13	უბნის მიმართ განივი და გრძივი გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილები	ფურცელი 4-7

ტექნიკური დავალება

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

ობიექტის მდებარეობა და დასახელება:	ქ. თბილისში, სამგორის მუნიციპალიტეტში, მოსკოვის გამზირ N9დ-ში N003/168 ნაკვეთზე მრავალსართულიანი და მრავალფუნქციური (ორი მიწისქვეშა ავტოსადგომით) საცხოვრებელი სახლის პროექტი.
დამკვეთი:	დავით ჯაფარიძე
პროექტის ავტორი:	არქიტექტორი: ზურაბ გეწაძე
დაპროექტების სტადია:	მუშა - ნახაზები
საპროექტო შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით:	მეორე
ობიექტის ტექნიკური დახასიათება:	საპროექტო შენობა გეგმაზე წარმოდგენს სწორხაზოვანი გეომეტრიული ფორმის თვრამეტ სართულიან (ორი მიწისქვეშა ავტოსადგომით) საცხოვრებელ სახლს, გაბარიტული ზომებით: 55,00X20,00 მეტრზე. ტერიტორიის ფართობია 4170,00 კვ.მ.
პირველი სართულის იატაკის საპროექტო ნიშნული:	±0,00=+0,30 მეტრი
ავტოსადგომების იატაკის ჩაღრმავება ნულოვანი ნიშნულიდან:	= -6,0 მეტრი
შენობი ტიპი:	კარკასული - ბლოკების შევსებით
საძირკვლების სავარაუდო ტიპი:	რკინა–ბეტონის მონოლითური ფილა ან ნაბურღ - ნატენი ხიმინჯები

პროექტის ინეჟინერ–კონსტრუქტორი:

მიწერილობა

ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირის N9დ-ში არსებულ N003/168 ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში მრავალსართულიანი და მრავალფუნქციური (მიწისქვეშა ავტოსადგომით) საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით.

წინამდებარე მიწერილობა შედგენილია ს. ნ. და წ. 1.02.07.87. 3.19-ის მეორე შენიშვნისა და 1.22-ის თანახმად, გადმოცემული ტექნიკური დავალებისა და ნორმატიული დოკუმენტების საინჟინრო ნორმებისა და წესების „შენობის და ნაგებობების ფუძეები“ (პნ 02.01.08) და სახ. სტანდარტი 25100-82 მოთხოვნათა საფუძველზე.

ტექნიკური დავალების თანახმად გათვალისწინებულია 18 სართულიანი (მიწისქვეშა ავტოსადგომებით) საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები:

საპროექტო შენობა გეგმაზე წარმოადგენს სწორხაზოვან გეომეტრიული ფორმის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს გაბარიტული ზომებით: 55,00X20,00 მეტრზე.

შენობის ტიპი: რკინა-ბეტონის მონოლითური კარკასი ბლოკების შევსებით.

შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით: მეორე

დაპროექტების სტადია: მუშა ნახაზები

სამშენებლო მოედანი ლითოლოგიურად აგებულია ზედა ეოცენური ასაკის გრუნტებით: ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობის სახით (E_2^3), რომლებიც გადაფარებულნი არიან მეოთხეული ასაკის ალუვიური გენეზისის კენჭნარებით (aQ_{IV}), დელუვიური გენეზისის თიხებით ან თიხნარებით (dQ_{IV}) და ნაყარი გრუნტით (tQ_{IV}) ან ნიადაგის ფენით (Q_{IV}).

საინჟინრო-გეოლოგიური სირთულის მიხედვით, სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება II (საშუალო) სირთულის კატეგორიას (ს.ნ. და წ. 1.02.07.87, დანართი10).

სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესასწავლად და საპროექტო შენობის დაფუძნების პირობების დასადგენად უნდა ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშაოები:

- უბნის ტოპოგეგმაზე აღნიშნულ ადგილებზე გაიბურღოს 4 ჭაბურღილი. ბურღვა ჩატარდეს მექანიკური-სვეტური ბურღვის მეთოდით. საბურღი დანადგარით „უგბ-50ვს-1“, ჩარეცხვის გარეშე მშრალი ბურღვის წესით, შემცირებული რეისით კერნის უწყვეტი ამოღებით.

გამოკვლევის სიღრმე მიღებული იქნეს ძირითადი ქანების წოლის სიღრმის მიხედვით.

- ჩატარდეს გრუნტების საინჟინრო-პეტროლოგიური შესწავლა

გრუნტების ნიმუშები აღებული იქნეს იმ მოცულობით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს თითოეული საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტისათვის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები (საინჟინრო ნორმების და წესების 1.02.07-87 პ.პ. 3.41, 3.50 და ს. ნ. და წ. 2.02.01.83 პ.2.15).

რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მიმართ, გრუნტის წყლის გამოვლენის შემთხვევაში მისი აგრესიული თვისებების განსაზღვრის მიზნით, წყლის ქიმიური ანალიზის ჩასატარებლად, აღებული იქნას სინჯი (ს. ნ. და წ. 1.02.07.87 პ.პ. 3.43, 3.56).

ტექნიკური დოკუმენტაცია შედგეს ს. ნ. და წ. 1.02.07.87 მე-9 დანართის მოთხოვნათა მიხედვით.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა გაიცეს ორ ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიით.

ინჟინერ-გეოლოგი გ. ბიძინაშვილი

ი/მ „გურამ ბიძინაშვილი“

(სტატუსი – მიკრობიზნესი)

ქ. თბილისში, სამგორის მუნიციპალიტეტში, მოსკოვის გამზირი N9დ-ში დავით ჯაფარიძის საკუთრებაში არსებული ნაკვეთის (ს.კ. 01.17.12.003/168) საინჟინრო–გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში მრავალბინიანი და მრავალფუნქციური (ორი მიწიქვეშა ავტოსადგომით) საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით

შესავალი

თანახმად, დავით ჯაფარიძის მომართვისა, 2022 წლის მარტის თვეში ინჟინერ–გეოლოგ გურამ ბიძინაშვილის მიერ შესწავლილი იქნა ზემოაღნიშნულ მისამართზე არსებული ტერიტორია, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით.

კვლევის მიზანი:

ა) უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლა;
ბ) საპროექტო ნაგებობის დაფუძნების პირობების დადგენა.

საკვლევი უბანი მდებარეობს ქ.თბილისში, სამგორის მუნიციპალიტეტში, მოსკოვის გამზირის N9დ-ში (ყოფილი ცხიმ კომბინატის ტერიტორიაზე), სადაც დავით ჯაფარიძის საკუთრებაში არსებულ N003/168 ნაკვეთზე, გათვალისწინებულია 18 სართულიანი (ორი მიწისქვეშა ავტოსადგომით) საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, გაბარიტული ზომებით: 55,00X20,00 მეტრზე. ტერიტორიის ფართობია 4170 კვ.მ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ტერიტორიაზე არსებობს რამოდენიმე წლის წინათ ამოღებული ქვაბული, საიდანაც გატანილი იქნა ნაყარისა და თიხების ფენები. არსებული ქვაბულის ზედაპირზე (417,00-ის ფარგლებში) გათვალისწინებულია ზემოთ აღნიშნული საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

საკვლევი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლისა და საპროექტო ნაგებობის დაფუძნების პირობების დადგენის მიზნით, თანახმად ს.ნ. და წ. 1.02.07.87 პ.პ.3.62, 3.64, 3.65 და 3.67 საფუძვლისა, მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გაბურღული იქნა ოთხი ჭაბურღილი, საერთო ჯამური სიღრმით 48,0 გრძივი მეტრი. თითოეული ჭაბურღილის სიღრმე იყო 12,0-12,0 მეტრი.

ბურღვა წარმოებდა საბურღი დანადგარით „УГБ-50-1ვს“-ის საშუალებით, მექანიკურ-სვეტური ბურღვის მეთოდით, მშრალი ბურღვის წესით, შემცირებული რეისით, კერნის უწვეტი ამოღებით.

საკვლევ უბნებზე გავრცელებული გრუნტების - თიხების და კენჭნაროვან-ხრეშოვანი გრუნტების ფიზიკური მახასიათებლების შესწავლის მიზნით, სამი ჭაბურღილიდან აღებული იქნა ექვს-ექვსი ნიმუში, რომელთა შესწავლა ჩატარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ფუძე-საძირკვლების მიმართულების კათედრის ლაბორატორიაში, ხოლო ქვიშაქვების ოთხი ნიმუშის კი სსიპ გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის ქანების, საშენი მასალების თვისებების და ხარისხის კონტროლის ლაბორატორიაში.

ლაბორატორიული კვლევის კრებსითი ცხრილი თან ერთვის ტექნიკურ ანგარიშს.

ჭაბურღილების გეგმიური-სიმაღლითი მიბმა განხორციელდა საპროექტო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული 1:500 მასშტაბის ტოპოგეგმის მიხედვით.

უბნის ზოგადი დახასიათება
გეომორფოლოგია, გეოლოგიური აგებულება, ჰიდროგეოლოგიური პირობები და კლიმატი

გეომორფოლოგია: საკვლევი და მიმდებარე ტერიტორია გეომორფოლოგიურად მდებარეობს მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირის ჭალის ზედა ტერასაზე, სადაც აბსოლუტური ნიშნულები მერყეობენ: 422,02:417,80 მეტრს შორის.

გეოლოგიური აგებულება: უბანი ტექტონიკური თვალსაზრისით განეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემაში შემავალ კრწანისის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფრთას, რომელიც ლითოლოგიურად აგებულია შუა და ზედა ეოცენური ასაკის გრუნტებით: ქვიშაქვებისა და არგილიტების თხელი შუა შრეები მორიგეობის სახით ($E_2^2+E_2^3$), რომელთა დაქანების აზიმუტი ჩრდილო-დასავლურია, ხოლო ქანების დახრის კუთხე კი 25-30^0-ია.

აღნიშნულ მორიგეობაში ქვიშაქვების პროცენტული შეფარდება არგილიტებთან შედარებით 60:40-ზეა, სადაც მათი ფერი მონაცისფრო-ყავისფერია, ხოლო ქვედა შრეებში მოლურჯო, სადაც ისინი საშუალო და სქელ შრეებრივი (თიხოვან ცემენტზე) საშუალო სიმტკიცის გრუნტებით არიან წარმოდგენილნი.

რაც შეეხება არგილიტებს, მათი ფერი მოყვითალო-მოყავისფრო-ჟანგისფერია, სადაც ისინი თხელ შრეებრივი - ფირფიტისებრი აღნაგობით, დაბალი სიმტკიცით და ადვილად მსხვრევადობით გამოირჩევიან.

საჭიროა აღინიშნოს. რომ ზედა შრეებში ფენა ძლიერ გამოფიტულია (1,50 მეტრის სიმძლავრის).

ძირითადი ქანები ზევიდან გადაფარებულნი არიან მეოთხეული ასაკის ალუვიური გენეზისის მსხვილ ნატეხოვანი - კენჭნაროვან-ხრეშოვანი გრუნტებით (aQ_{IV}), მეოთხეული ასაკის დელუვიური გენეზისის მოყვითალო-მოყავისფრო ფერის თიხებით და თიხნარებით (თიხნარები ჩვენ შემთხვევაში გატანილია ქვაბულის დამუშავების პროცესში) და ტექნოგენური გრუნტით (tQ_{IV}) ან ნიადაგის ფენით (Q_{IV}).

<u>ჰიდროგეოლოგიური პირობები:</u> საკვლევ უბანზე გაბურღულ ოთხივე ჭაბურღილში მიწის ზედაპირიდან (ქვაბულის ზედაპირიდან) 5,50-5,30 მეტრის სიღრმის ინტერვალიდან, თიხებისა და კენჭნაროვანი გრუნტების კონტაქტიდან ადგილი ჰქონდა გრუნტის წყლების გამოვლენას, რომლის კვლევა ჩვენს მიერ არ ჩატარებულა, ვინაიდან გამოყენებული იქნა მიმდებარე ტერიტორიაზე (მოსკოვის გამზირი N9გ) ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მასალები, რომელიც თან ერთვის ტექნიკურ ანგარიშს.

ლაბორატორიული კვლევის მიხედვით წყალი ქიმიური შედგენილობით სულფატურ-ჰიდროკარბონატულ კალციუმიანია. წყლის ძლიერი და საშუალო აგრესიულობა აღინიშნება სულფატების შემცველობის თვალსაზრისით პორტლანდცემენტზე დამზადებული W_4 და W_6 მარკის ბეტონის მიმართ და სუსტად აგრესიულია W_8 მარკის ბეტონის მიმართ. ასევე წყალი შეიცავს აგრესიულ ნახშირორჟანგს. ხოლო არ არის აგრესიული წიდაპორტლანდცემენტზე და სულფატომედეგ ცემენტზე დამზადებული ბეტონის მიმართ. წყალი არ არის აგრესიული არმატურის მიმართ რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მუდმივი დაძირვის პირობებში. სუსტად აგრესიულია პერიოდული დასველების დროს.

კლიმატი

ქ.თბილისის კლიმატურ თავისებურებებს განაპირობებს მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა. იგი ხასიათდება ზომიერი მშრალი ჰავით - მოკლე, ნაკლებად ცივი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით.

ტემპერატურული ცვლილებების ზოგიერთი მაჩვენებელი ასეთია: ყველაზე ცივ თვედ ითვლება იანვარი, საშუალო თვიური ტემპერატურით +9 ^{0}C, ხოლო ყველაზე ცხელ თვედ -

ივლისი 24.4 ^{0}C. ამავე თვეების აბსოლუტური მინიმუმი და მაქსიმუმი შესაბამისად ასეთია: -23^{0}C და +40^{0}C. ნიადაგის გაყინვის საშუალო მაჩვენებელია 4 სმ.

ჰაერის საშუალო ფარდობითი ტენიანობა ყველაზე ცივი და ყველაზე ცხელი თვეებისათვის შესაბამისად შეადგენს 73% და 57%. ყველაზე ტენიანი თვეა ნოემბერი - 77%, ყველაზე მშრალი - ივლისი - 56%. ფარდობითი ტენიანობის საშუალო წლიური მაჩვენებელია 66%.

ატმოსფერული ნალექების სიუხვის მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოდის მაისზე - 86 მმ, ყველაზე დაბალი იანვარზე - 16 მმ, ხოლო საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენს - 505 მმ-ს. ზამთრის ხანგრძლივობა თოვლის საფარის პირველი წარმოქმნიდან მის სრულ ლიკვიდაციამდე არის 2 თვე (30/XII-VIII), ხოლო თოვლიანი საფარის დღეების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 14-ს. თოვლის საფარის საშუალო სიმაღლე 8 სმ-ია.

ქარების გაბატონებულ მიმართულებად ითვლება ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულების ქარები. დღეების რაოდენობა წლის განმავლობაში, როცა ძლიერი ქარი ქრის (>15 მ/წმ) შეადგენს 52-ს. მაქსიმალური სიჩქარე აღწევს 25-30 მ/წმ-ს. წყნარი, უქარო ამინდი (შტილი) 22-ია, ანუ 80 დღე წელიწადში.

1. სპეციალური ნაწილი

საკვლევი და მიმდებარე ტერიტორიის ვიზუალურმა დათვალიერებამ გვიჩვენა, რომ უბანზე არ შეინიშნება უარყოფითი (საშიში) ფიზიკურ-გეოლოგიური პროცესების კვალი. უბანი მდგრადია და საპროექტო შენობის მშენებლობისათვის დამაკმაყოფილებელ პირობებში იმყოფება.

საკვლევი უბანი გეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე ს. ნ. და წ. 1.02.07.87 დანართი 10-ის თანახმად განეკუთვნება მეორე (საშუალო სირთულის) კატეგორიას.

საკვლევ უბანზე ჩატარებული საველე და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების მიხედვით შედგენილი იქნა ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტები და უბნის მიმართ განივი და გრძივი გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილები (იხილეთ დანართი).

კვლევის შედეგად ასევე გამოყოფილი იქნა სამი ფენა.

ფენა 1 – თიხოვანი გრუნტი (dQ_{IV});

ფენა 2 - კენჭნაროვან-ხრეშოვანი გრუნტები (წყალგაჯერებული) (aQ_{IV})

ფენა 3 - ზედა ეოცენური ასაკის გრუნტების, ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობის სახით, რომელთა დახასიათება მოგვყავს ქვევით მოცემულ ქვეთავში.

2.1 გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, ოთხივე ჭაბურღილში, ქვაბულის ზედაპირიდან - 417,00 ნიშნულიდან 5,50-5,60-6,0-5,50 მეტრის სიღრმემდე გავრცელებულია მეოთხეული ასაკის დელუვიური გენეზისის მოყვითალო-მოყავისფრო ფერის თიხოვანი გრუნტები, რომლის ზედა შრეებში (2,50-3,0 სიღრმემდე) შეინიშნება კალციტის ძარღვები და თაბაშირის ჩანართები და ამავე სიღრმიდან თიხები გადადიან მოყავისფრო ფერში.

როგორც ზევით იყო აღნიშნული, თიხების ფიზიკური მახასიათებლების შესწავლის მიზნით, ოთხივე ჭაბურღილიდან აღებული იქნა დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის ექვსი ნიმუში: რომლის დროსაც გამოკვლეული იქნა შემდეგი მახასიათებლები: პლასტიკურობა, ბუნებრივი ტენიანობა, სიმკვრივე, ფორიანობის კოეფიციენტი, კონსინსტენციის მაჩვენებელი, ტენიანობის ხარისხი, რომელთა ფიზიკური მახასიათებლების სიდიდეების მერყეობის დიაპაზონი და საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები მოცემულია ცხრილი N1-ში.

ცხრილში №1

№	გრუნტების ფიზიკური მახასიათებლები			განზომი-ლება	მერყეობის დიაპაზონი	საშუალო (ნორმატი-ული)
1	პლასტი-კურობა	ზედა ზღვარი	W_L	——	45-50	47,57
		ქვედა ზღვარი	W_p		24-27	25,14
		რიცხვი	I_p		21-24	22,42
2	ბუნებრივი ტენიანობა		W	%	20-25	22,71
3	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ³	1,87-1,90	1,88
		მშრალი გრუნტის	Pd		1,50-1,57	1,53
		გრუნტის ნაწილაკების	Ps		2,72-2,73	2,72
4	ფორიანობის კოეფიციენტი		e	___-	0,73-0,81	0,78
5	კონსისტენციის მაჩვენებელი		I_L	___-	-0,00- -0,19	-0,10
6	ტენიანობის ხარისხი		Sr	___	0,82-0,84	0,83

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველა ნიმუში პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით (I_p=21-24) განისაზღვრა, როგორც თიხა, კონსისტენციის მაჩვენებლის მიხედვით (I_L=-0,00- -0,19), გრუნტის კონსისტენცია მყარია. რაც შეეხება ტენიანობის ხარისხს (Sr=0.82-0,84), გრუნტი ტენიანია.

გარდა გრუნტების ფიზიკური მახასიათებლებისა 6 ნიმუშზე, ასევე ჩატარდა ცდები დეფორმაციისა და სიმტკიცის მახასიათებლებზე, კერძოდ:

ა) გრუნტის კომპრესიული გამოცდა;

ბ) გრუნტების ძვრაზე გამოცდა

ცდებით მიღებული მნიშვნელობები მოცემულია გრაფიკებზე და შეჯამებულია კრებსითი ცხრილში.

ჩატარდა ასევე გრუნტების სიმკვრივის მახასიათებლების (φ და C) გამოცდების შედეგად მიღებული მნიშვნელობების სტატისტიკური დამუშავება. იხ. დანართში თიხების სიმტკიცის მახასიათებლები: შინაგანი ხახუნის კუთხე φ და ხვედრითი შეჭიდულობა C განსაზღვრული იქნა არქ. მასლოვის ჩქარი ჭრის მეთოდით. როგორც ამ შედეგებიდან ჩანს თიხები ბუნებრივ პირობებში საკმაო დიდი სიდიდის მაჩვენებლებით ხასიათდებიან, რაც გვაძლევს დასკვნის საშუალებას, რომ მასზე შეიძლება დაფუძნდეს მომავალი შენობა.

თიხების დეფორმაციის მაჩვენებლებიდან განსაზღვრული იქნა კუმშვადობის კოეფიციენტი და დეფორმაციის მოდული. ცდები წარმოებდა კომპრესის ხელსაწყოზე. ვერტიკალური დატვირთვის ნიმუშს ეძლეოდა საფეხურებრივი ინტერვალით 0,5 კგ/სმ^2 მაქსიმალური დატვირთვა შეადგენდა 4 კგ/სმ^2.

როგორც შედეგებმა გვიჩვენა თიხების კუმშვადობის კოეფიციენტი 1-2 კგ/სმ^2 დატვირთვის ინტერვალში შეადგენს 0,02 კგ/სმ^2. ამ ნიშნის მიხედვით ისინი მიეკუთვნებიან სამშენებლო ნორმებით საშუალო კუმშვად გრუნტებს.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ თიხების პირობითი საანგარიშო წინაღობა ვისარგებლოთ სამშენებლო ნორმების პ.ნ. 02.01.08 დანართი 3 ცხრილი 2, საიდანაც ორმაგი ინტერპოლაციით R_0=2.7 კგძ/სმ^2

გრუნტის სიმტკიცის მაჩვენებლები დამუშავებული იქნა სტატისტიკური მეთოდით:

შინაგანი ხახუნის კუთხე $\varphi^I=16^0$ $\varphi^{II}=17^0$ $\varphi^{ნ}=19^0$

ხვედრითი შეჭიდულობა C^I=29 კგძ/სმ^2 C^{II}=0,35 კგძ/სმ^2 $C^{ნ}$=0,44 კგძ/სმ^2

დეფორმაციის მოდული E 3 კგ დატვირთვისას $E_ნ$=14,3 მპა (143 კგძ/სმ^2)

ფენა 1-ის შემდეგ ქვაბულის ზედაპირიდან 7,80-8,60-8,60-8,50 გავრცელებულია მეოთხეულის ასაკის ალუვიური გენეზისის გაწყლიანებული მსხვილ ნატეხოვანი კენჭნაროვან-ხრეშოვანი გრუნტები. **ფენა 2 (aQ$_{IV}$)**

ფენა წარმოდგენილია წვრილი და საშუალო ზომის კენჭებით, იშვიათად მსხვილი ზომის ქვებისაგან, რომელთა დედაქანი დანალექი და მაგმური ქანებით არის წარმოდგენილი. ოთხივე ჭაბურღილიდან აღებული იქნა გრუნტის ექვსი ნიმუში, რომელთაც ჩაუტარდათ ლაბორატორიული კვლევა.

საველე პირობებში განისაზღვრა ფენის სიმკვრივე, რომელმაც შეადგინა 1,92 გ/სმ^3. ხოლო გაცხავების შედეგად მიღებული იქნა გრანულომეტრლი შედგენილობის შედეგები

ცხრილი N2

ჭაბ.	ნიმ.N	აღების სიღრმე	ფრაქციის ზომა - მმ				
			>100	100-50	50-20	20-2	<2
ჭ.ბ.1	1	5,50	0	25	36	22	17
ჭ.ბ.1	2	6,0	0	23	29	25	23
ჭ.ბ.2	3	7,0	0	27	31	23	19
ჭ.ბ.2	4	7,50	0	25	33	20	22
ჭ.ბ.3	5	8,0	0	23	34	20	23
ჭ.ბ.4	6	8,50	0	24	32	23	31

ლაბორატორიულ პირობებში განისაზღვრა შემავსებლის ფიზიკური თვისებების შემდეგი მახასიათებლები:

ბუნებრივი ტენიანობა W –13%

ტენიანობა დენადობის ზღვარზე W_L-15%

ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე W_P -9

პლასტიკურობის რიცხვი I_P -6

კონსტინტენციის მაჩვენებელი J_L<0,65

ფენისათვის სიმტკიცის, დეფორმაციისა და საანგარიშო წინაღობის მაჩვენებლები აღებულია ს. ნ. და წ. 2.02.01-08-ის ცხრილებიდან, რომელთა მიხედვითაც:

- ხვედრითი შეჭიდულობა C=0,1 კგძ/სმ^2
- შიგა ხახუნის კუთხე φ=35^0

- დეფორმაციის მოდული E=3,0 მპა (300 კგძ/სმ²)

  საანგარიშო წინაღობა R_0= 350 კპა (3,5 კგძ/სმ²)

ფენა 2-ის შემდეგ, ძიების მთელ სიღრმემდე გავრცელებულია ზედა ეოცენური ასაკის ძირითადი ქანები ქვიშაქვების და არგილიტების თხელი შუა შრეების მორიგეოის სახით, რომელთა ზედა შრეები ძლიერ გამოფიტულია. ფენა-3 (E_2^3).

როგორც აღვნიშნეთ ოთხივე ჭაბურღილიდან აღებული იქნა ქვიშაქვის ოთხი ნიმუში (მონოლითი), რომლებსაც ჩაუტარდა შემდეგი სახის კვლევები, კერძოდ: სიმკვრივე (ρ), დრეკადობის მოდული (E), სიმტკიცის ზღვარი, როგორც ჰაერ მშრალი, ასევე წყალნაჯერ პირობებში, რომელთა საშუალო (ნორმატიული) მახასიათებლები შემდეგია:

ფენის სიმკვრივე ρ=2,34 გ/სმ³

დრეკადობის მოდული E=2495,4 მპა (24954 კგძ/სმ²)

სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე მშრალ მდგომარეობაში R_c= 13,9 მპა (139 კგძ/სმ²), ხოლო სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალნაჯერ პირობებში R_c= 8,72 მპა (87,2 კგძ/სმ²)

რაც შეეხება დარბილების კოეფიციენტს, გრუნტი დარბილებადია, ვინაიდან Ksof =0,62<0,75-ზე. გრუნტი სიმკვრივის მიხედვით ოთხივე ნიმუში მკვრივია.

დასკვნები და რეკომენდაციები

1. ქ. თბილისში, სამგორის მუნიციპალიტეტში, მოსკოვის გამზირის N9დ-ში, დავით ჯაფარიძის საკუთრებაში არსებული N003/168 ნაკვეთი, იმყოფება დამაკმაყოფილებელ პირობებში, ვინაიდან არ შეინიშნება უარყოფითი ფიზიკურ-გეოლოგიური პროცესების კვალი (მეწყერი, ჩაქცევა, ჩაჯდენა და სხვა) და არც მშენებლობის შემდგომ პერიოდშია მოსალოდნელი.

უბანი გეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე, თანახმად ს. ნ. და წ. 1.02.07.87 დანართი 10-ის მიხედვით განეკუთვნება მეორე (საშუალო) სირთულის კატეგორიას.

2. საკვლევი და მიმდებარე ტერიტორია გეომორფოლოგიურად მდებარეობს მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირის ჭალის ზედა ტერასაზე, სადაც აბსოლუტური ნიშნულები მერყეობენ: 422,02:417,80 მეტრს შორის.

3. უბანი ტექტონიკური თვალსაზრისით განეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემაში შემავალ კრწანისის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფრთას, რომელიც ლითოლოგიურად აგებულია შუა და ზედა ეოცენური ასაკის გრუნტებით: ქვიშაქვებისა და არგილიტების თხელი შუა შრეები მორიგეობის სახით ($E_2^2+E_2^3$), რომელთა დაქანების აზიმუტი ჩრდილო-დასავლურია, ხოლო ქანების დახრის კუთხე კი 25-30^0-ია.

აღნიშნულ მორიგეობაში ქვიშაქვების პროცენტული შეფარდება არგილიტებთან შედარებით 60:40-ზეა, სადაც მათი ფერი მონაცისფრო-ყავისფერია, ხოლო ქვედა შრეებში მოლურჯო, სადაც ისინი საშუალო და სქელ შრეებრივი (თიხოვან ცემენტზე) საშუალო სიმტკიცის გრუნტებით არიან წარმოდგენილნი.

რაც შეეხება არგილიტებს, მათი ფერი მოყვითალო-მოყავისფრო-ჟანგისფერია, სადაც ისინი თხელ შრეებრივი - ფირფიტისებრი აღნაგობით, დაბალი სიმტკიცით და ადვილად მსხვრევადობით გამოირჩევიან.

საჭიროა აღინიშნოს. რომ ზედა შრეებში ფენა ძლიერ გამოფიტულია (1,50 მეტრის სიმძლავრის).

ძირითადი ქანები ზევიდან გადაფარებულნი არიან მეოთხეული ასაკის ალუვიური გენეზისის მსხვილ ნატეხოვანი - კენჭნაროვან-ხრეშოვანი გრუნტებით (aQ_{IV}), მეოთხეული ასაკის დელუვიური გენეზისის მოყვითალო-მოყავისფრო ფერის თიხებით და თიხნარებით (თიხნარები ჩვენ შემთხვევაში გატანილია ქვაბულის დამუშავების პროცესში) და ტექნოგენური გრუნტით (tQ_{IV}) ან ნიადაგის ფენით (Q_{IV}).

4. გამოკვლეულ უბანზე ჩატარებული მონაცემების მიხედვით გამოყოფილი იქნა სამი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე).

I სგე - ფენა 1 - თიხები (dQ_{IV})
II სგე -ფენა 2 - კენჭნაროვან-ხრეშოვანი გრუნტი (aQ_{IV})
III სგე -ფენა 3 - ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა (E_2^3)

საპროექტო ნაგებობის ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე სამივე სგე შეიძლება გამოყენებულ იქნენ საცხოვრებელი სახლის საყრდენ ფუძე-გრუნტებად, ხოლო საძირკვლების ტიპად შეიძლება განხილული იქნეს, როგორც რკინა-ბეტონის მონოლითური ფილა I სგეზე, ასევე ნაბურღ-ნატენი ხიმინჯი III სგე-ზე, მხოლოდ ხიმინჯის წვერის ჩაღმავებით, ქვიშაქვიან შრეში 1,0-1,50 მეტრის სიღრმეზე.

5. უბანზე გავრცელებული გრუნტების ყველა აუცილებელი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები მოცემულია ქვევით მოყვანილ N3 ცხრილში, რომლებიც მიღებულია ლაბორატორიული კვლევებისა და საცნობარო ლიტერატურის გამოყენებით (დამპროექტებლის

საანგარიშო-თეორიული ცნობარი) საგების, ჰუასონისა და ბეტონის გრუნტზე ხახუნის კოეფიციენტებისათვის.

ცხრილი №3

№	გრუნტის მახასიათებლები	ინდექსი	განზომილება	I სგე ფენა 1	II სგე ფენა 2	III სგე ფენა 3
1	სიმკვრივე	P	გ/სმ³	1.88	1,92	2,34
2	ხვედრითი შეჭიდულობა	C	მპა (კგძ/სმ²)	43 (0,43)	1,0 (0,1)	-
3	შინაგანი ხახუნის კუთხე	φ	გრადუსი	16	35	-
4	დეფორმაციის მოდული	E	მპა (კგძ/სმ²)	15 (150)	3,0 (300)	-
5	დრეკადობის მოდული	$E_б$	მპა (კგძ/სმ²)	-	-	2495,4 (24954)
6	პირობითი საანგარიშო წინაღობა	R_0	კპა (კგძ/სმ²)	270 (2,70)	350 (3,5)	-
7	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალნაჯერ პირობებში	R_c	მპა (კგძ/სმ²)	-	-	8,72 (872)
8	საგების კოეფიციენტი	K	კგ/სმ³	3,0	7,0	80,0
9	პუასონის კოეფიციენტი μ	-	-	0,42	0,27	0,20
10	ბეტონის გრუნტზე ხახუნის კოეფიციენტი	J	-	0,50	0,50	0,50

6. საკვლევ უბანზე გაბურღულ ოთხივე ჭაბურღილში მიწის ზედაპირიდან (ქვაბულის ზედაპირიდან) 5,50-5,30 მეტრის სიღრმის ინტერვალიდან, თიხებისა და კენჭნაროვანი გრუნტების კონტაქტიდან ადგილი ჰქონდა გრუნტის წყლების გამოვლენას, რომლის კვლევა ჩვენს მიერ არ ჩატარებულა, ვინაიდან გამოყენებული იქნა მიმდებარე ტერიტორიაზე (მოსკოვის გამზირი N9გ) ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მასალები, რომელიც თან ერთვის ტექნიკურ ანგარიშს.

ლაბორატორიული კვლევის მიხედვით წყალი ქიმიური შედგენილობით სულფატურ-ჰიდროკარბონატულ კალციუმიანია. წყლის ძლიერი და საშუალო აგრესიულობა აღინიშნება სულფატების შემცველობის თვალსაზრისით პორტლანდცემენტზე დამზადებული W_4 და W_6 მარკის ბეტონის მიმართ და სუსტად აგრესიულია W_8 მარკის ბეტონის მიმართ. ასევე წყალი შეიცავს აგრესიულ ნახშირორჟანგს. ხოლო არ არის აგრესიული წიდაპორტლანდცემენტზე და სულფატომედეგ ცემენტზე დამზადებული ბეტონის მიმართ. წყალი არ არის აგრესიული არმატურის მიმართ რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მუდმივი დაძირვის პირობებში. სუსტად აგრესიულია პერიოდული დასველების დროს.

7. საქართველოში ამჟამად მოქმედი სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით ქ.თბილისი მდებარეობს 8 ბალიან სეისმურობის ზონაში (საქართველოს სეისმური საშიშროების რუკა).

უბანზე გავრცელებული გრუნტები სეისმური თვისებების მიხედვით თანახმად ს. ნ. და წ. „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.1.0.1-09)მიხედვით განმეკუთვნებიან, თიხები, კენჭნაროვანი გრუნტი და ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა II ჯგუფს. ამიტომ უბნის სეისმურობად მიღებული უნდა იქნეს 8 ბალი.

8. სამშენებლო ქვაბულის და ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა მიღებული უნდა იქნეს ს.ნ. და წ. 3.02.01.87. პ.პ. 3.11-3.12 და ს.ნ. და პ III-4-80-ის მე–9 თავის მიხედვით.

9. უბნის ამგები გრუნტები დამუშავების სიძნელის მიხედვით ს. ნ. და წ. IV-2-82-ის 1.1 ცხრილის თანახმად განეკუთვნებიან:

ა) ფენა 1 - თიხები, ექსკავატორით დამუშავებისას II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1890კგ/მ^3 - რიგ N8ა

ბ) ფენა 2 – კენჭნაროვანი გრუნტი, ექსკავატორით დამუშავებისას IV ჯგუფს სიმკვრივით 2000 კგ/მ^3 - რიგ N6ა

გ) ფენა 3- ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა - ექსკავატორით დამუშავებისას V ჯგუფს, ხოლო ხელით დამუშავებისას V_P ჯგუფს - სიმკვრივით 2000 კგ/მ^3 -რიგ N3ა

ინჟენერ-გეოლოგი გ. ბიძინაშვილი

ტელ: 599 77 93 52

ქ.თბილისში, მოსკოვის გამზირი N9დ-ში არსებულ N003/168 ნაკვეთზე მრავალსართულიანი (ორი მიწისქვეშა ავტოსადგომით) საცხოვრებელი სახლის მშენებლობა

თიხების ლაბორატორიული კვლევის კრებსითი ცხრილი

№№	გამონამუშევრის N	არების სიღრმე. მ	გრუნტის ლაბორატორიული გამოკვლებევის შედეგები																		
			ლაბ. N	პლასტიკურობა			ბუნებრივი ტენიანობ %	სიმკვრივე გ/სმ²			ფორიანობის კოეფიციენტი	დენადობის ინდექსი	ტენიანობის ხარისხი	კუმშვადობის კოეფიციენტი სმ²/კგ	ფარდობითობითი ჩაჯდომადობა	წინაღობა ძრავაზე				თაბაშირის შემცველობა %	გრუნტის ტიპი
																ბუნებრივი		წყლით გაჟღენთილი			
				ზედა ზღვარი %	ქვედა ზღვარი %	პლასტიკურობის რიცხვი		ბუნებრივი	მშრალი გრუნტი	გრუნტის ნაწილაკების						φ0	C მპა	φ0	C მპა		
		h		W_L	W_p	I_p	W	P	Pd	Ps	e	I_L	Sr	a	I_s	φ	C	φ	C	$CaSO_4 2H_2O$	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22
1	ჭ.ბ.1	1,0	34	45	24	21	20	1,88	1,57	2,763	0,73	-0,19	0,60	0,01	-	22	0,056	-	-	-	თიხა
2	ჭ.ბ.2	2,0	35	48	26	22	25	1,88	1,50	2,73	0,81	-0,04	0,61	0,02	-	18	0,032	15	0,020	-	თიხა
3	ჭ.ბ.3	3,0	36	47	24	23	20	1,88	1,56	2,73	0,75	-0,17	0,62	0,01	-	20	0,050	-	-	-	თიხა
4	ჭ.ბ.4	4,0	37	46	25	21	24	1,87	1,52	2,72	0,78	-0,05	0,63	0,02	-	18	0,040	-	-	-	თიხა
5	ჭ.ბ.5	5,0	38	48	25	23	21	1,88	1,55	2,72	0,76	-0,17	0,64	0,01	-	19	0,042	-	-	-	თიხა
6	ჭ.ბ.6	6,0	39	49	25	24	25	1,90	1,54	2,72	0,77	-0,00	0,65	0,01	-	18	0,046	15	0,030	-	თიხა

შემსრულებელი:

გრაფიკი N 1 ცდა კომპრესიაზე

ჭაბ. N 1
სიღრმე h =1.00 მ
ტენიანობა W=20%



ვერტიკალური დატვირთვა	მპა	0	0.1	0.2	0.3	0.4
ფორიანობის კოეფიციენტი	c	0.73	0.71	0.70	0.69	0.68
დაჯდომის მოდული	c_p		0.80	1.20	1.60	2.00
დეფორმაციის მოდული	E მპა		8.60	17.30	17.40	17.50
კუმშვადობის კოეფიციენტი	a		0.02	0.01	0.01	0.01

გრაფიკი N 2 ცდა კომპრესიაზე

ჭაბ. N 2
სიღრმე h =2.00 მ
ტენიანობა W=25%



ვერტიკალური დატვირთვა	მპა	0	0.1	0.2	0.3	0.4
ფორიანობის კოეფიციენტი	c	0.81	0.79	0.77	0.76	0.75
დაჯდომის მოდული	c_p		0.80	1.50	1.90	2.30
დეფორმაციის მოდული	E მპა		8.80	8.90	18.10	18.20
კუმშვადობის კოეფიციენტი	a		0.02	0.02	0.01	0.01

გრაფიკი N 3 ცდა კომპრესიაზე

ჭაბ. N 2
სიღრმე h =3.00 მ
ტენიანობა W=20%



ვერტიკალური დატვირთვა	მპა	0	0.1	0.2	0.3	0.4
ფორიანობის კოეფიციენტი	c	0.75	0.73	0.72	0.71	0.70
დაჯდომის მოდული	c_p		0.80	1.20	1.50	1.90
დეფორმაციის მოდული	E მპა		8.70	17.50	17.60	17.70
კუმშვადობის კოეფიციენტი	a		0.02	0.01	0.01	0.01

გრაფიკი N 4 ცდა კომპრესიაზე

ჭაბ. N 2
სიღრმე h =4.0 მ
ტენიანობა W=24%



ვერტიკალური დატვირთვა	მპა	0	0.1	0.2	0.3	0.4
ფორიანობის კოეფიციენტი	c	0.78	0.76	0.74	0.73	0.72
დაჯდომის მოდული	c_p		0.80	1.60	2.00	2.40
დეფორმაციის მოდული	E მპა		8.70	8.80	17.80	17.90
კუმშვადობის კოეფიციენტი	a		0.02	0.02	0.01	0.01

გრაფიკი N 5 ცდა კომპრესიაზე

ჭაბ. N 3
სიღრმე h =5.00 მ
ტენიანობა W=21%



ვერტიკალური დატვირთვა	მპა	0	0.1	0.2	0.3	0.4
ფორიანობის კოეფიციენტი	c	0.76	0.74	0.72	0.71	0.70
დაჯდომის მოდული	c_p		0.80	1.60	2.40	2.70
დეფორმაციის მოდული	E მპა		8.70	8.80	17.60	17.70
კუმშვადობის კოეფიციენტი	a		0.03	0.02	0.01	0.01

გრაფიკი N 6 ცდა კომპრესიაზე

ჭაბ. N 3
სიღრმე h =6.00 მ
ტენიანობა W=25%



ვერტიკალური დატვირთვა	მპა	0	0.1	0.2	0.3	0.4
ფორიანობის კოეფიციენტი	c	0.77	0.75	0.73	0.71	0.70
დაჯდომის მოდული	c_p		0.80	1.60	2.40	2.70
დეფორმაციის მოდული	E მპა		8.70	8.80	8.90	17.70
კუმშვადობის კოეფიციენტი	a		0.03	0.02	0.02	0.01

გრაფიკი N 7 **ბრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები**



ჭაბ. N 1
სიღრმე h =1.00 მ
ტენიანობა W=20%

ვერტიკალური დატვირთვა, მპა	ძვრის ძალა, მპა	შიგა ხახუნის კუთხე	კუთრი შეჭიდულობა, მპა
p	τ	φ °	C მპა
0.10	0.096	22°	0.056
0.20	0.136		
0.30	0.176		
0.40			

გრაფიკი N 8 **ბრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები**



ჭაბ. N 1
სიღრმე h =2.00 მ
ტენიანობა W=25%

ვერტიკალური დატვირთვა, მპა	ძვრის ძალა, მპა	შიგა ხახუნის კუთხე	კუთრი შეჭიდულობა, მპა
p	τ	φ °	C მპა
0.10	0.064	18°	0.032
0.20	0.096		
0.30	0.128		
0.40			

გრაფიკი N 9 **ბრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები**



ჭაბ. N 2
სიღრმე h =3.00 მ
ტენიანობა W=20%

ვერტიკალური დატვირთვა, მპა	ძვრის ძალა, მპა	შიგა ხახუნის კუთხე	კუთრი შეჭიდულობა, მპა
p	τ	φ °	C მპა
0.10	0.086	20°	0.050
0.20	0.122		
0.30	0.158		
0.40			

გრაფიკი N 10 **ბრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები**



ჭაბ. N 2
სიღრმე h =4.0 მ
ტენიანობა W=24%

ვერტიკალური დატვირთვა, მპა	ძვრის ძალა, მპა	შიგა ხახუნის კუთხე	კუთრი შეჭიდულობა, მპა
p	τ	φ °	C მპა
0.10	0.072	18°	0.040
0.20	0.104		
0.30	0.136		
0.40			

გრაფიკი N 11 **ბრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები**



ჭაბ. N 3
სიღრმე h =5.00 მ
ტენიანობა W=21%

ვერტიკალური დატვირთვა, მპა	ძვრის ძალა, მპა	შიგა ხახუნის კუთხე	კუთრი შეჭიდულობა, მპა
p	τ	φ °	C მპა
0.10	0.076	19°	0.042
0.20	0.110		
0.30	0.144		
0.40			

გრაფიკი N 12 **ბრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები**



ჭაბ. N 3
სიღრმე h =6.00 მ
ტენიანობა W=25%

ვერტიკალური დატვირთვა, მპა	ძვრის ძალა, მპა	შიგა ხახუნის კუთხე	კუთრი შეჭიდულობა, მპა
p	τ	φ °	C მპა
0.10	0.078	18°	0.046
0.20	0.110		
0.30	0.142		
0.40			

დანართი 1.

გრუნტის წინაღობის მაჩვენებლების ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების ანგარიში

გრუნტის შიგა ხახუნის კუთხის – φ და კუთრი შეჭიდულობის – C ნორმატიული მნიშვნელობების დასადგენად ცდების შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება ხდება სტატიატიკურად უმცირესი კვადრატების მეთოდით. გამოვიყვანოთ აღნიშნულ სიდიდეებს შორის სწორხაზოვანი დამოკიდებულებიდან.

$$T = p\,tg\varphi,$$

სადაც: τ – ძვრის ძალაა;

p – ნორმალური დატვირთვაა.

რუნტის შიგა ხახუნის კუთხისა და კუთრი შეჭიდულობის ნორმატიული მნიშვნელობანი გამოითვლება ფორმულებით

$$t_i\ \varphi^{\delta} = \frac{1}{\Delta}\left(n\sum_{i-1}^{n}\tau_i P_i - \sum_{i-1}^{n}T_i\sum_{i-1}^{n}P_i\right);$$

$$C^{\sigma} = \frac{1}{\Delta}\left(\sum_{i-1}^{n}\tau_i\sum_{i-1}^{n}P_i^2 - \sum_{i-1}^{n}P_i\sum_{i-1}^{n}\tau_i P_i\right);$$

$$\Delta = n\sum_{i-1}^{n}(P_i)^2 - \left(\sum_{i-1}^{n}P_i\right)^2;$$

სადაც

τ და P_i – გრუნტში ძვრისადმი წინაღობისა და ნორმალური დატვირთვის კერძო მნიშვნელობანია და ვიღებთ ლაბორატორიული ცდების მონაცემებიდან.

n – τ –ს განსაზღვრის რიცხვია

$\Delta=18\times84-36^2=216$

$$t\cdot\varphi^{\delta}=\frac{18\times44.80-20.34\times36}{216}=0.34$$

$\varphi^{\delta}=19°$

$$C^{\delta}=\frac{20.34\times84-36\times44.80}{216}=0.44\ {}^{\text{კგ}\cdot\text{ძ}}/_{\text{სმ}^2}$$

ამრიგად: $\varphi^{\delta}=19°$ და $C^{\delta}=0.4\ {}^{\text{კგ}\cdot\text{ძ}}/_{\text{სმ}^2}$

გამოვთვალოთ φ და c-ს მნიშვნელობათა საშუალო კვადრატული გადახრა

$$\sigma_{t_\varphi}=\sigma_\tau\sqrt{\frac{n}{\Delta}};\quad \sigma_c=\sigma_\tau\sqrt{\frac{\sum p_i^2}{\Delta}};\quad \sigma_\tau=\sqrt{\frac{\sum(\bar{\tau}_i-\tau_i)^2}{n-2}}$$

n-2=18-2=16

ჩავსვათ მნიშვნელობანი

$$\sigma_\tau=\sqrt{\frac{0.3098}{16}}=\sqrt{0.02}=0.14;$$

$$\sigma_{t_\varphi}=0.14\sqrt{\frac{18}{216}}=0.14\times\sqrt{0.08}=0.14\times0.28=0.04;$$

$$\sigma_c=0.14\sqrt{\frac{84}{216}}=0.14\times\sqrt{0.4}=0.14\times0.63=0.09.$$

ვარიაციის კოეფიციენტი შეადგენს

$$V_{t_\varphi}=\frac{\sigma_{t_\varphi}}{t\cdot\varphi^{\delta}}=\frac{0.04}{0.34}=0.12;$$

$$V_c=\frac{\sigma_c}{c^{\delta}}=\frac{0.09}{0.44}=0.20$$

მახასიათებლის საშუალო მნიშვნელობების შეფასების სიზუსტის მაჩვენებელი

$\rho=t\alpha\cdot\nu$

გამოვთვალოთ φ და c-ს მნიშვნელობანი მეორე ზღვრული მდგომარეობისათვის (დეფორმაციების მიხედვით), როცა

$\alpha=0.85$; n-2=18-2=16; $t\alpha=1.07$

$\rho_{tg\varphi}=1.07\times0.12=0.13$

$\rho_c=1.07\times0.20=0.21$

უსაფრთხოების კოეფიციენტი

$$K_{\text{ზ}}=\frac{1}{1\pm\rho}$$

გრუნტის უსაფრთხოების კოეფიციენტის მეტი უზრუნველყოფის მიზნით ρ–ს წინ ვილებთ უარყოფით ნიშანს, მაშინ

$$K_{g(t\ \varphi)} = \frac{1}{1-0.13} = 1.15;$$

$$K_{g(c)} = \frac{1}{1-0.20} = 1.25$$

მახასიათებლის მნიშვნელობანი ტოლი იქნება

$$t\cdot\varphi_1 = \frac{t\cdot\varphi^{\delta}}{K_{g(t_i\ )}} = \frac{0.34}{1.15} = 0.30$$

φ_{II}=17°

$$C_1 = \frac{C^{\delta}}{K_{g(c)}} = \frac{0.44}{1.25} = 0.35\ \text{კგ}\cdot\text{ძ}/\text{სმ}^2$$

ამრიგად: $\boldsymbol{\varphi_{II}}$**=17°;** $\mathbf{c_{II}}$**=0.35** კგ.ძ/სმ²

გამოვთვალოთ φ და c-ს მნიშვნელობანი პირველი ზღვრული მდგომარეობისათვის (ამტანუნარიობის მიხედვით), როცა

α=0.95; n−2=18−2=16; tα=1.75

$\rho_{tg\varphi}$=1.75×0.12=0.21

ρ_c=1. 75×0.20=0.35

მაშინ

$$K_{g(t_i\ )} = \frac{1}{1-0,21} = 1.27; \quad K_{g(c)} = \frac{1}{1-0,35} = 1.54$$

მახასიათებლის მნიშვნელობა ტოლი იქნება

$$t\cdot\varphi_1 = \frac{t\cdot\varphi^{\delta}}{K_{g(t_i\ )}} = \frac{0.34}{1.27} = 0.27$$

φ_{II}=16°

$$C_1 = \frac{C^{\delta}}{K_{g(c)}} = \frac{0.44}{1.54} = 0.29\ \text{კგ}\cdot\text{ძ}/\text{სმ}^2$$

ამრიგად: $\boldsymbol{\varphi_{II}}$**=16°;** $\mathbf{c_{II}}$**=0.29** კგ.ძ/სმ²

საბოლოოდ მივიღეთ:

φ^{δ}=19° C^{δ}=0.44 კგ.ძ/სმ²

$\varphi_{II}=17°$ $C_{II}=0.35$ კგ.ძ/სმ²

$\varphi_{I}=16°$ $C_{I}=0.29$ კგ.ძ/სმ²

ქ. თბილისი, დიდი დიღომი, IV კვარტალი, № 004/012 ნაკვეთზე 10 სართულიანი (უსარდაფო) საცხოვრებელი სახლის პროექტი

მოსაცემები φ და C სტატისტიკური ანგარიშისათვის

ბრუნტის ტიპი – თიხა

№	P=1.0 კგ.ძ/სმ²			P=2.0 კგ.ძ/სმ²			P=3.0 კგ.ძ/სმ²		
	τ_i	$\bar{\tau}_i-\tau_i$	$(\bar{\tau}_i-\tau_i)^2$	τ_i	$\bar{\tau}_i-\tau_i$	$(\bar{\tau}_i-\tau_i)^2$	τ_i	$\bar{\tau}_i-\tau_i$	$(\bar{\tau}_i-\tau_i)^2$
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	0.96	0.17	0.0289	1.36	0.23	0.0529	1.76	0.29	0.0841
2	0.64	-0.15	0.0225	0.96	-0.17	0.0289	1.28	-0.19	0.0361
3	0.86	0.07	0.0049	1.22	0.09	0.0081	1.58	0.11	0.0121
4	0.72	-0.07	0.0049	1.04	-0.09	0.0081	1.36	-0.11	0.0121
5	0.76	-0.03	0.0009	1.10	-0.03	0.0009	1.447	-0.03	0.0009
6	0.78	-0.01	0.0001	1.10	-0.03	0.0009	1.42	-0.05	0.0025
Σ	4.72	-	0.0622	6.78	-	0.0998	8.84	-	0.1784
	$\bar{\tau}=\frac{\sum\tau_i}{n};\ n=6$ $\bar{\tau}=\frac{4.72}{6}=0.79$ $\sigma_{\partial}=\sqrt{\frac{\sum(\bar{\tau}_i-\tau_i)^2}{n-1}}=$ $=\sqrt{\frac{0.0622}{6}}=0.1$ რიცხვი n=6 γ=2.07 $\sigma_{\partial}\times\gamma$=0.1×2.07=0.2 0.17<0.20			$\bar{\tau}=\frac{6.78}{6}=1.13$ $\sigma_{\partial}=\sqrt{\frac{0.0998}{6}}=0.13$ $\sigma_{\partial}\times\gamma$=0.13×2.07=0.27 0.23<0.27			$2\bar{\tau}=\frac{8.84}{6}=1.47$ $\sigma_{\partial}=\sqrt{\frac{0.1478}{5}}=0.16$ $\sigma_{\partial}\times\gamma$=0.16×2.07=0.33 0.29<0.33		

თბილისი, დიდი დიღომი, IV კვარტალი, № 004/012 ნაკვეთზე
10 სართულიანი (უსარდაფო) საცხოვრებელი სახლის პროექტი

მონაცემები φ და C სტატისტიკური ანგარიშისათვის

ბრუნტის ტიპი – თიხა

№	P_i	τ_i	P_i^2	$P_i\tau_i$	τ_t	$\tau_t - \tau_i$	$(\tilde{\tau}_t - \tau_t)^2$
1	2	3	4	5	6	7	8
1	1.00	0.96	1.00	0.96	0.79	0.17	0.0289
2	1.00	0.64	1.00	0.64	0.79	-0.15	0.0225
3	1.00	0.86	1.00	0.86	0.79	0.07	0.0049
4	1.00	0.72	1.00	0.72	0.79	-0.07	0.0049
5	1.00	0.76	1.00	0.76	0.79	-0.03	0.0009
6	1.00	0.78	1.00	0.78	0.79	-0.01	0.0001
7	2.00	1.36	4.00	2.72	1.33	0.23	0.0529
8	2.00	0.96	4.00	1.92	1.33	-0.17	0.0289
9	2.00	1.22	4.00	2.44	1.33	0.09	0.0081
10	2.00	1.04	4.00	2.08	1.33	-0.09	0.0081
11	2.00	1.10	4.00	2.20	1.33	-0.03	0.0009
12	2.00	1.10	4.00	2.208	1.33	-0.03	0.0009
13	3.00	0.92	2.25	1.38	0.81	0.11	0.0841
14	3.00	0.84	2.25	1.26	0.81	0.03	0.0361
15	3.00	0.73	2.25	1.09	0.81	-0.08	0.0121
16	3.00	0.88	2.25	1.32	0.81	0.07	0.0121
17	3.00	0.77	2.25	1.16	0.81	-0.04	0.0009
18	3.00	0.73	2.25	1.09	0.81	-0.08	0.0025
Σ	36.00	20.34	84.00	44.80	-	-	0.3098

სსიპ გ. წულუჯიძის სამთო ინსტიტუტი
ქანების, სამშენებლო მასალების და ხარისხის კონტროლის
საგამომცდელო ლაბორატორია

სამუშაოს ანგარიში

შესრულებულია ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირის № 9 დ-ში დავით ჯაფარიძის საკუთრებაში არსებულ № 003/168 მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი და მრავალფუნქციური (მიწისქვეშა ორი სარდაფით) საცხოვრებელი სახლის სამშენებლო მოედანზე აღებული ქანების სინჯების ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე

სამუშაოს ხელმძღვანელი,
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
აკადემიური დოქტორი



თბილისი 2022 წ.

1. ანგარიში წარმოდგენილია 5 გვერდზე და შეიცავს 6 ცხრილს.
2. სინჯების წარმომავლობაზე ანგარიშის შემდგენელი პასუხს არ აგებს.

გამოყენებული სტანდარტი

1. ГОСТ 5180-84 გრუნტების ფიზიკური მახასიათებლების განსაზღვრის ლაბორატორიული მეთოდები;
2. ГОСТ 21153,2-84 სიმტკიცის განსაზღვრის მეთოდი ქანების ერთღერძა კუმშვაზე ;
3. ГОСТ 28985-91 ქანების დეფორმაციული მახასიათებლების კვლევა ერთღერძა კუმშვაზე;
4. ГОСТ 24941-81 ქანების მექანიკური თვისებების დადგენის მეთოდები სფერული ინდენტორებით დატვირთვის პირობებში;
5. ГОСТ 25100-82 გრუნტების კლასიფიკაცია.

ანგარიში მომზადებულია სსიპ გ.წულუკიძის სამთო ინსტიტუტის ქანების, საშენი მასალების თვისებების და ხარისხის კონტროლის განყოფილების საგამოცდო ლაბორატორიაში ქანების-გრუნტების მექანიკის მიმართულებით 54 წლის და ბეტონების მიმართულებით 20 წლის სტაჟის მქონე, მთავარი მეცნიერ თანამშრომლის, აკადემიური დოქტორის გიორგი ბალიაშვილის მიერ. კვლევის შედეგებზე ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას.

16/11/21

ცხრილი 1- ქანის თვისებების საშუალო მნიშვნელობები

სინჯის №	ქანის სახეობა	ჭაბურღილი №	სინჯის აღების სიღრმე, მ H	სიმტკიცე, მეგპა		დარბილების კოეფიციენტი K_s	დრეკადობის მოდული, წყალნაჯერ მდგომარეობაში, ეგპა Ew	სიმკვრივე, გ/სმ³ ρ
				მშრალ მდგომარეობაში Red	წყალნაჯერ მდგომარეობაში Rew			
1	ქვიშაქვა	1	11.0	6,3	3,8	0,61	1)	2,29
2	ქვიშაქვა	2	11.0	16,9	10,5	0,62	2524,0	2,36
3	ქვიშაქვა	3	12.0	14,4	8,9	0,62	2181,5	2,35
4	ქვიშაქვა	4	11.0	18,8	11,7	0,62	2780,8	2,37

შენიშვნა 1: *1) ГОСТ 28985-91 სტანდარტის თანახმად ამ სინჯზე დრეკადობის მოდული არ დგინდება.*

ცხრილი 2- ქანების კლასიფიკაცია ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მიხედვით

სინჯის №	სიმტკიცის მიხედვით (წყალნაჯერი)	სიმკვრივის მიხედვით	დარბილების მიხედვით
1	ნახევრად კლდოვანი, დაბალსიმტკიცის	მკვრივი	დარბილებადი
2	კლდოვანი, ნაკლებად მტკიცე	მკვრივი	დარბილებადი
3	კლდოვანი, ნაკლებად მტკიცე	მკვრივი	დარბილებადი
4	კლდოვანი, ნაკლებად მტკიცე	მკვრივი	დარბილებადი

შენიშვნა: *1- მეიდრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმტკიცის შემცირების მიხედვით მეხუთე რეიტინგის; 2-მეოთხე რეიტინგის, 3-ოთხრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმკვრივის შემცირების მიხედვით მეორე რეიტინგის.*

ცხრილი 3- სიმკვრივე ნიმუშების მიხედვით

სინჯის №	№	გამოცდილი ნიმუშის მასა, გ			მოცულობა, სმ³		სიმკვრივე, გ/სმ³
		ჰაერში	პარაფინით		პარაფინის	ნიმუშის	
			ჰაერში	წყალში			
1	1	41,21	44,79	22,89	3,98	17,92	2,30
	2	41,22	44,70	22,75	3,87	18,08	2,28
2	1	40,23	43,42	22,23	3,54	17,64	2,37
	2	40,25	43,55	22,90	3,67	16,98	2,35
3	1	40,36	43,97	22,78	4,01	17,17	2,33
	2	40,28	44,06	22,57	4,20	17,29	2,37
4	1	39,65	43,25	22,52	4,00	16,73	2,37
	2	39,64	43,27	22,51	4,03	16,73	2,36

16/11/21

ცხრილი 4- სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე და დრეკადობის მოდული

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის №	სიგრძე, სმ	სიგანე, სმ	სიმაღლე, სმ	ფართობი, სმ²	მასშტაბ. კოეფიციენტი	მრღვევი ძალა, კგძ	სიმტკიცე, კგძ/სმ²	დრეკადობის მოდული, კგძ/სმ²	მდგომარეობა გამოცდისას
1	1	3,22	3,23	3,25	10,40	0,80	805	6,3		მშრალი
	2	3,23	3,24	3,24	10,47	0,80	485	3,8		წყალნაჯერი
2	1	3,22	3,22	3,24	10,37	0,80	2035	16,0		მშრალი
	2	3,24	3,23	3,23	10,47	0,80	2285	17,8		
	3	3,22	3,21	6,58	10,34	1,00	1115	11,0	2524,0	წყალნაჯერი
	4	3,23	3,22	3,28	10,40	0,80	1275	10,0		
3	1	3,25	3,25	3,26	10,56	0,80	1945	15,0		მშრალი
	2	3,23	3,23	3,25	10,43	0,80	1765	13,8		
	3	3,22	3,22	3,23	10,37	0,80	1080	8,5		წყალნაჯერი
	4	3,23	3,24	5,64	10,47	1,00	955	9,3	2181,5	
4	1	3,22	3,21	3,21	10,34	0,80	2280	18,0		მშრალი
	2	3,21	3,21	3,23	10,30	0,80	2475	19,6		
	3	3,23	3,22	3,23	10,40	0,80	1405	11,0		წყალნაჯერი
	4	3,22	3,22	6,41	10,37	1,00	1260	12,4	2780,8	

ცხრილი 5-ნიმუშების გამოცდა დეფორმაციაზე

ნიმუში №.2.3			ნიმუში № 3.4			ნიმუში № 4.4		
F	I	II	F	I	II	F	I	II
0	0	0	0	0	0	0	0	0
95	2	3	80	3	2	100	3	2
190	4	5	160	6	5	200	4	3
285	7	7	240	8	7	300	6	5
380	9	9	320	10	9	400	8	8
475	11	11	400	12	11	500	10	10
570	13	13	480	14	13	600	12	12
665	16	16	560	16	15	700	14	14
760	19	19	640	18	17	800	16	17
855	22	22	720	20	19	900	18	20
950	26	27	800	23	22	1000	20	23
1045	31	32	880	27	26	1100	23	27
1115	39	40	955	35	34	1200	27	32
						1260	36	41

შენიშვნა: *F-ძალა, კგძ; I და II საათის ტიპის ინდიკატორის ჩვენება, დანაყოფი (ერთი დანაყოფი=0,01მმ-ს).*

16/11/21

ცხრილი 6- სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე
(დადგენილი „სფერული ინდენტორების მეთოდით“)

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის							
	№	მანომეტრის ჩვენება, დანაყოფი[1]	მრღვევი ძალა, კგძ[2]	რღვევის ფართობი, სმ²	მასშტაბური კოეფიციენტი	სიმტკიცის ზღვარი		მდგომარეობა გამოცდისას
						გაჭიმვაზე, კგძ/სმ²	კუმშვაზე, მეგპა	
1	3	7,3	55,9	10,00	0,68	3,80	6,2	მშრალი
	4	5,7	43,9	14,50	0,75	2,27	3,7	წყალნაჯერი

შენიშვნა : *1- ერთი დანაყოფი=7,6465 კგძ 2-დამრგვალებულია მთელ ნაწილამდე.*

16/11/21

შპს „წყალი და გრუნტი“
ს/კ 436046574
ტელ.: +995 77 75 48 92
E-mail: infowaterandsoil@gmail.com



LLC “Water and Soil”
I/C 436046574
Phone.: + 995 77 75 48 92;
E-mail:infowaterandsoil@gmail.com

წყლის სინჯის ქიმიური ანალიზი

სინჯის აღების ადგილი	თბილისი, მოსკოვის გამზირი N9 გ, ს/კ 01.17.12.003.170		
წყალპუნქტის ტიპი	ჭაბურღილი 1, სინჯის აღების სიღრმე - 11.0 მ	**სინჯის აღების თარიღი**	11.11.2021

იონები	აბსოლუტური შემცველობა	მგ.ექვ/ლ	მგ.ექვ/ლ, %	სხვა მონაცემები		
1	2	3	4	5		
კათიონები				**ფერი:** გამჭვირვალე **სუნი:** უსუნო **გემო:** მომლაშო		
$(Na+K)^+$	0,031	1,368	4	**წყალბად-იონების კონცენტრაცია PH:**	7,55	
Ca^{2+}	0,675	33,750	92	**მშრალი ნაშთი:**	2,39	გ/ლ
Mg^{2+}	0,021	1,750	5	**საერთო სიხისტე:**	35,5	მგ.ექვ/ლ;
ჯამი	**0,727**	**36,87**	**100**	**კარბონატული:**	3	მგ.ექვ/ლ;
აწიონები				**მუდმივი:**	32,5	მგ.ექვ/ლ;
				თავისუფალი CO_2:	47,7	მგ/ლ
Cl^-	0,001	0,006	1	**აგრესიული CO_2:**	5,9	მგ/ლ
SO_4^{2-}	1,481	30,863	83	**ამონიუმი (NH_4^+):**	0,24	მგ/ლ
HCO_3^-	0,366	6,000	16	**ნიტრატი (NO_3^-)**	არ აღმოჩნდა;	
ჯამი	**1,848**	**36,87**	**100**	**ნიტრიტი (NO_2^-):**	არ აღმოჩნდა;	
M გ/ლ	**2,575**	**კურლოვის ფორმულა**		$M_{2.57}\frac{SO_4 83 HCO_3 16}{Ca92}$		

ანალიზის შემსრულებელი: მ. მარდაშოვა **თარიღი:** 14.11.2021

შპს „წყალი და გრუნტი“
ს/კ 436046574
ტელ.: +995 77 75 48 92
E-mail: infowaterandsoil@gmail.com



LLC “Water and Soil”
I/C 436046574
Phone.: + 995 77 75 48 92;
E-mail:infowaterandsoil@gmail.com

წყლის აგრესიულობის ხარისხი ბეტონის მიმართ

რიგითი N	გამონამუშევრის N	ნიმუშის აღების სიღრმე, მ	აგრესიულობის მაჩვენებლები	წყლის აგრესიულობის ხარისხი ნაგებობებისადმი					
				განლაგებულ ქანებში $K_ф$>0.1 მ/დღ.ღ			განლაგებულ ქანებში $K_ф$<0.1 მ/დღ.ღ		
				ბეტონის მარკის წყალმეღწევადობის მიხედვით					
				W4	W6	W8	W4	W6	W8
1	??	0,00	ბიკარბონატული სიხისტე, მგ.ექვ/ლ	არა	არა	არა	არა	არა	არა
			წყალბადიონის მაჩვენებელი	არა	არა	არა	სუსტი	არა	არა
			აგრესიული ნახშირმჟავას შემცველობა, მგ/ლ	არა	არა	არა	არა	არა	არა
			მაგნეზიალური მარილების შემცველობა, მგ/ლ	არა	არა	არა	არა	არა	არა
			ამონიუმის მარილების შემცველობა, მგ/ლ	არა	არა	არა	არა	არა	არა
			მაღალი ტუტიანობის შემცველობა, მგ/ლ	არა	არა	არა	არა	არა	არა
			სულფატები ბეტონებისათვის						
			პორტლანდცემენტი (ГОСТ10178-76)	ძლიერი	საშუალო	სუსტი	საშუალო	სუსტი	სუსტი
			წიდაპორტლანდცემენტი	არა	არა	არა	არა	არა	არა
			სულფატმედეგი ცემენტი	არა	არა	არა	არა	არა	არა

გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი მეტალის კონსტრუქციებზე

რიგითი N	გამონამუშევრის N	ნიმუშის აღების სიღრმე, მ	წყლის აგრესიული ზემოქმედების ხარისხი რკინა-ბეტონის კონსტრუქციის არმატურაზე		გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა იმ ქანებისათვის რომელთა ფილტრაციის კოეფიციენტი >0.1 მ/დღე-ღამე
			მუდმივად წყალში	პერიოდული დასველებით	
1	??	0,00	არა	სუსტი	საშუალო

შპს „წყალი და გრუნტი“
ს/კ 436046574
ტელ.: +995 77 75 48 92
E-mail: infowaterandsoil@gmail.com



LLC “Water and Soil”
I/C 436046574
Phone.: + 995 77 75 48 92;
E-mail:infowaterandsoil@gmail.com

წყლის სინჯის ქიმიური ანალიზის შედეგი

განსახილველი სინჯი საერთო მინერალიზაციის სიდიდით ($M = 2.57$ გ/ლ) მომლაშო წყლების კატეგორიას მიეკუთვნება, ხოლო ქიმიური შედგენილობით სულფატურ-ჰიდროკარბონატული კალციუმიანია. წყალბად-იონების კონცენტრაციის სიდიდე ნეიტრალურია $pH = 7.55$. სინჯში აღინიშნება ამონიუმის იონის შემცველობა 0.24 მგ/ლ რაოდენობით.

ძლიერ და საშუალო აგრესიულობა აღინიშნება სულფატების შემცველობის თვალსაზრისით (იხ. აგრესიულობის თანდართული ცხრილი) პორტლანდცემენტზე დამზადებული W_4 და W_6 მარკის ბეტონების მიმართ წყალშეღწევადობის მიხედვით. ასევე წყალი შეიცავს აგრესიულ ნახშირორჟანგს (5,9 მგ/ლ). ხოლო წიდაპორტლანდცემენტზე და სულფატმედეგ ცემენტზე სინჯი არ ავლენს აგრესიულობას.

რკინა-ბეტონის კონსტრუქციაზე წყალი აგრესიულად არ ზემოქმედებს მუდმივად დასველების პირობებში და სუსტად აგრესიულია პერიოდულად დასველების პირობებში.

შპს „წყალი და გრუნტის“ დირექტორი,
პროფესორი ქ. მარდაშოვა მ. მარდაშოვა

შპს „წყალი და გრუნტი“ 436046574 WATER AND SOIL LLC


№ 1
№ 2
№ 3
№ 4
2ქა
2ქა
3ქა
სკ
მიწის ნაკვეთის ფართია - 4170 კვ.მ.
488150
მისამართი: ქ.თბილისი, მოსკოვის გამზირი 9დ
არასაცხოვრებელი შენობა
საცხოვრებელი შენობა
შენებადი ნაგებობა
ფარდული
ბორდიური
ღობე
კედელი
რკინიგზა
მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზი
ხევები
სამეთვალყურეო ჭები
რეზერვუარი
სატრანსფორმატორო ჯიხური
რელიეფი
UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდინატები
შპს. „თამაზი 51"
დირექტორი
თ. მამულაშვილი
შესრულდა
თ. მამულაშვილი
მასშტაბი 1:500
თარიღი: 04.04.2022
GEORGIA "TAMAZI 51" LLC



10.006
19.952
12.238
22.898
55.001
11.827
4 170 m²
18 სართული
2X 2,500 მ²
საპროექტო ნიშნული 419.40
არსებული ნიშნული 420.11
სერვიტუტი
შშმპ სვლაგეზი ტროტუარიდან შენობაში შესასვლელამდე.
ვინაიდან შშმპ სვლაგეზი კონსოლის ქვეშ მიემართება გენგეგმაზე მისი სრული გამოჩენა ვერ ხერხდება. სრულად სანახავად ეწვიეთ +0.00 სართულის გეგმას ან მისასვლელობის ნახაზებს.
ბავშვთა სათამაშო მოედანი
+57.14
+54.65
+57.78
14.60
3.00
514550

ჭაბ. N 1

ინდექსი	ფენის №	ფენის სიღრმე დან	ფენის სიღრმე მდე	ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული	ჭრილი მასშტაბი 1 : 100	კონსისტენცია	გრუნტის წყლის დონე გამ	გრუნტის წყლის დონე დამყ
	PBPвЂ				417.60				
Q_{IV}	1	0.00	5.50	5.50	412.10		ბ ყ ა რ ო	5.50 / 412.10	4.00 / 413.60
aQ_{IV}	2	5.50	7.80	2.30	409.80				
E_2^3	3	7.80	12.00	4.20	405.60				

ჭაბ. N 2

ინდექსი	ფენის №	ფენის სიღრმე დან	ფენის სიღრმე მდე	ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული	ჭრილი მასშტაბი 1 : 100	კონსისტენცია	გრუნტის წყლის დონე გამ	გრუნტის წყლის დონე დამყ
	PBPвЂ				417.70				
Q_{IV}	1	0.00	5.60	5.60	412.10		ბ ყ ა რ ო	5.60 / 412.10	4.10 / 413.60
aQ_{IV}	2	5.60	8.60	3.00	409.10				
E_2^3	3	7.80	12.00	3.40	405.70				

ჭაბ. N 3

ინდექსი	ფენის №	ფენის სიღრმე დან	ფენის სიღრმე მდე	ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული	ჭრილი მასშტაბი 1 : 100	კონსისტენცია	გრუნტის წყლის დონე გამ	გრუნტის წყლის დონე დამყ
	PBPвЂ				417.67				
Q_{IV}	1	0.00	6.00	6.00	411.67		ბ ყ ა რ ო	6.00 / 411.67	4.50 / 413.17
aQ_{IV}	2	6.00	8.60	2.60	409.07				
E_2^3	3	8.60	12.00	4.20	405.67				

ჭაბ. N 4

ინდექსი	ფენის №	ფენის სიღრმე დან	ფენის სიღრმე მდე	ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული	ჭრილი მასშტაბი 1 : 100	კონსისტენცია	გრუნტის წყლის დონე გამ	გრუნტის წყლის დონე დამყ
	PBPвЂ				417.60				
Q_{IV}	1	0.00	5.50	5.50	412.10		ბ ყ ა რ ო	5.50 / 412.10	4.00 / 413.60
aQ_{IV}	2	5.50	8.50	3.00	409.10				
E_2^3	3	8.50	12.00	3.50	405.60				

პირობითი აღნიშვნები

dQ_{IV} ① მეოთხეული ასაკის დელუვიური გენეზისის მყვითალო-მოყავისფრო ფერის თიხოვანი გრუნტები ზედა შრეებში კალციტის ძარღვები სა და თაბაშირის ჩანართებით

aQ_{IV} ② მეოთხეულის ასაკის ალუვიური გენეზისის გაწყლიანებული მსხვილ ნატეხოვანი კენჭნაროვან-ხრეშოვანი გრუნტები

E_2^3 ③ ოლიგოცენ - ქვედა ნმიოცენური ასაკის ე.წ. "მაიკოპური"სერიის თიხები, ქვიშაქვებისა და არგილიტების თხელი შუაშრეების სახით

გრუნტის წყლის გამოვლენილი დონე

გრუნტის წყლის დამყარებული დონე

დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის ნიმუშების აღების ადგილი

